




საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დეკორატიული დაბალბალახოვანი ადგილობრივი მცენარეები



დეკორატიული დაბალბალახოვანი ადგილობრივი მცენარეები, ბალახოვანი მცენარეთა ჯგუფი, რომლებიც ხასიათდებიან ვეგეტაციური ორგანოების სპეციფიკური აგებულებით, ტანდაბალი იერით (გართხმული და მცოცავი ფორმები), ბიოეკოლოგიური თავისებურებებით და დეკორატიული ნიშან-თვისებებით (ხანგრძლივი ყვავილობა, ფერთა დინამიკური ცვალებადობა).

დაბალბალახოვანი მცენარეების დეკორატიული ფორმები საცდელ-საკოლექციო ნაკვეთზე

საქართველოს დაბალბალახოვანი მცენარეები მონათესავე ჯგუფის სხვა მცენარეებთან შედარებით მკვეთრად გამოირჩეულია. მათ მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების გამწვანება-კეთილმოწყობაში. ესეთ. ღირებულებასთან ერთად ისინი პრაქტიკულადაც აქტიურად გამოიყენება სანიტ.-ჰიგიენური და საწარმოოსამეურნეო მიმართულებით.

ადგილობრივი დაბალბალახოვანი მცენარეების (კლდისდუმა, ია სურნელოვანი, კესანე, მიხაკი, კლდისვაშლა, სურო, ფურისულა, ფხიჯა და სხვ.). გამოყენების ხარისხი და ნიშან-თვისებები ჩამოყალიბებულია შემდეგი სპეციფ. მახასიათებლებით: ისინი ქმნიან მტკიცე დეკორ. საფარს, რ-იც სწრაფად ვითარდება; ვეგეტაციური მასის სიმჭიდროვე ამცირებს მოვლის ღირებულებას და გამწვანების ფართობის მჭიდრო საბურველიანობასთან ერთად

ქმნის მასობრივ დეკორ. ეფექტს; რაც განპირობებულია ვრცელი ჯგუფების გეგმარებით, მასობრივი დარგვით და აღბეჭდილია მდელოსა და მინდვრის მცენარეულობაში;

დ. დ. ა. მ-ს გააჩნიათ ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობა (ბიოლ. სიბერის უქონლობა), უხვი ყვავილობის უნარი, ასევე ნაყოფმსხმოიარობა; ადგილობრივი დაბალბალახოვანი მცენარეების მჭიდრო საფარი და ვეგეტაციური მასა აფერხებს სარეველების აღმოცენებას; ისინი უძლებენ მკაცრ ზამთარსა და მცხუნვარე ზაფხულს, ეგუებიან ტენის უკმარისობას და ნიადაგის სიმწირეს (ამტანუნარიანობა), ავლენენ გამძლეობას დაავადებების და ავადმყოფობების მიმართ (იმუნიტეტი). დაბალბალახოვან მცენარეებში გამომუშავებული ბიოფიზიოლოგიური ნიშან-თვისებები საშუალებას იძლევა, ადამიანის ჩაურევლად წარიმართოს აღდგენის პროცესი (თვითაღდგენის უნარიანობა); ეს მცენარეები წლობით ინარჩუნებენ დეკორ. ეფექტს.

ლიტ.: ი ს ა კ ა ძ ე შ., დეკორატიული დაბალბალახოვანი ადგილობრივი მცენარეები, წგ. 1, თბ., 2005; ი ს ა კ ა ძ ე შ., ი ს ა კ ა ძ ე ლ., დეკორატიული დაბალბალახოვანი ინტროდუცირებული მცენარეები, წგ. 2, თბ., 2009.

შ. ისაკაძე
